15/04/2024

MES 7 24 0000428606

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 29.03.2024
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 18:00 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: თამარ ლომინაძე
საბჭოს მდივანი: ქეთევან ქუთათელაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წ ე ვ რ ე ბ ი :

1. თამარ ლომინაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. გოჩა თუთბერიძე - შპს ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. გიორგი ღაღანიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
4. დავით გეგეჭკორი - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობათა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი, პროფესორი;
5. ციური დურული - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
6. თამარ ტუფინაშვილი - შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსსიტეტის აკადემიური მიმართულების ხელმძღვანელი;
7. დიმიტრი ჯაფარიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი;
8. ხათუნა თოდაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ცივე-რექტორი აკადემიური მიმართულებით, ნარკოლოგიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
9. ვასილ კიკუტაძე - შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ბიზნესის და ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანი;

10. დიანა მჭედლიშვილი - შპს კავკასიის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი;
11. ქეთევან ნანობაშვილი - შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
12. ნინო ჭალაგანიძე - შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, კანცლერის მრჩეველი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ასოცირებული პროფესორი;
13. გიორგი მირიანაშვილი - შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
14. ქეთევან ქუთათელაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზურუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი.
სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

1. **ნინო სარჯველაძე** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.
2. **თამთა ანთიძე** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.
3. **ლალი ოდიშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

1. **ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი**

ეკატერინე ბაკარაძე - პროფესორი, ხარისხის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე;
ვახტანგ ზაალიშვილი - პროფესორი, იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე;
თინათინ გაბრიჩიძე - სტრატეგიული განვითარებისა და ინტერნაციონალიზაციის კომიტეტის თავმჯდომარე.

1. **სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

ვლადიმერ ღლონტი - პროფესორი, ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
ივდით დიასამიძე - ასოცირებული პროფესორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ლალი ზაქარაძე - პროფესორი, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის "ფილოსოფია" ხელმძღვანელი;
ვარდო ბერიძე - ასოცირებული პროფესორი, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის "ფილოსოფია" ხელმძღვანელი.

1. **სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია**

თამარ ხუნდაძე - თსსა ასოცირებული პროფესორი, რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის დეკანი;
ანა კლდიაშვილი - თსსა პროფესორი, რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ირინე არჯევანიძე - ქართულ ენაში მომზადების პროგრამის ხელმძღვანელი;
ნინო ღაღანიძე - თსსა პროფესორი, თსსა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

1. **სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

ნინო მატარაძე - მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანი;
ნინო ჟვანია - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
მაკა ლაშხია - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
სოფიკო ზვიადაძე - ასოცირებული პროფესორი;
ზვიად ზალიკიანი - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი;
სალომე დალაქიშვილი - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი.

1. **შპს ქუთაისის უნივერსიტეტი**

სოფიო ხუნდაძე - ვიცე - რექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით;
აკაკი მოსახლიშვილი - ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
თეონა გრიგოლაშვილი - სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის დეკანი;
თათია ხარაბაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

აკრედიტაციის ექსპერტები

- მილან პოლი (Milan Pol) – I საკითხი;
- ქეთევან აფთარაშვილი - I საკითხი;
- თამთა ლეკიშვილი - I საკითხი;
- ლიანა ზაგაშვილი - I საკითხი;
- მაკა ლაშხია - II საკითხი;
- თამარ ჩოკორაია - III საკითხი;
- ნიკოლოზ ალექსიძე - IV საკითხი;
- ეკა გეგეშიძე - V საკითხი.

საბჭოს სხდომა დაიწყო:
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გაცნო დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „განათლების მეცნიერების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფილოსოფიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
3. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

4. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „რელიგიის კვლევების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5. შპს ქუთაისის უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „განათლების მეცნიერების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფილოსოფიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
3. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „რელიგიის კვლევების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5. შპს ქუთაისის უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

1. **პირველი საკითხი:** ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „განათლების მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

1. **საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება** - განათლების მეცნიერებები
2. საფეხური - დოქტორანტურა
3. სწავლების ენა - ინგლისური
4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - განათლების მეცნიერების დოქტორი
5. დეტალური სფეროს კოდი - 0111 განათლების მეცნიერება

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და თანდართულ დოკუმენტებს, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინათ პოზიცია.

საერთაშორისო ექსპერტი, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, მილან პოლი მიესალმა საბჭოს. მან აღნიშნა, რომ ვიზიტი 7 დეკემბერს განხორციელდა, ჩატარდა წინა მოსამზადებელი შეხვედრები, შესწავლილ იქნა დოკუმენტები და ასევე ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა დამატებითი დოკუმენტებიც. ექსპერტთა ჯგუფის მიერ განსახილველი პროგრამა, მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტებთან შეფასდა როგორც, სტანდარტთან შესაბამისი. ექსპერტთა შეფასების მიხედვით, პირველ სტანდარტთან პროგრამა მეტწილ შესაბამისობაშია, რაც ძირითადად გამოიწვია კომპონენტებმა 1.4 და 1.5 კომპონენტების შეფასებებმა. საერთაშორისო ექსპერტმა განმარტა, რომ პროგრამა ამბიციურია და მიუხედავად ამისა, პროგრამა ღიაა ისეთი კანდიდატებისთვის, რომლებსაც არ აქვთ წინარე გამოცდილება და განათლება განათლების მეცნიერებების მიმართულებით. ამისათვის პროგრამა არ ითვალისწინებს დამატებით საშუალებებს, რომ სტუდენტებმა აინაზღაურონ ეს დანაკლისი სწავლების პროცესში. ჯგუფმა შეიმუშავა 11 რეკომენდაცია და 5 რჩევა და სხდომაზე ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ გამოირჩა რამდენიმე. რამდენიმე რეკომენდაცია შეეხო პროგრამასთან დაკავშირებულ სპეციფიკას და განათლების მეცნიერებების განხრით წინარე განათლების არმქონე სტუდენტებს. პროგრამა პირდაპირ სთავაზობს სტუდენტებს კვლევის და სწავლების მეთოდოლოგიას, თუმცა, ექსპერტთა მოსაზრებით, წინარე განათლების არმქონე სტუდენტებს უნივერსიტეტმა უნდა შესთავაზოს განათლების მეცნიერების საფუძვლებიც. ექსპერტთა ჯგუფმა შესთავაზა კიდეც უნივერსიტეტს რამდენიმე კურსი, როგორიც არის ზოგადი განათლება, დიდაქტიკა, განათლების ისტორია და ა.შ. ასევე, სასურველია გათვალისწინებული იყოს წინარე განათლების მოთხოვნა აპლიკანტთა მიმართ. გარდა ამისა, უნდა არსებობდეს ხელმძღვანელობის და თანახელმძღვანელობის ინსტიტუტი. ეს წარმოადგენდა დასკვნის ძირითად არსს, რომ სადოქტორო პროგრამას უნდა ჰქონდეს დისციპლინები, რომლებიც განათლების მეცნიერებების საფუძვლებს მოიცავს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა აღნიშნულმა საკითხმა იქონიოს უარყოფითი გავლენა პროგრამაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელი ეკა ბაკარაძე მიესალმა საბჭოს დამსწრეებს. მან აღნიშნა, რომ პროგრამამ გაიარა მრავალი საერთაშორისო და ადგილობრივი კვლევა, გამოკითხვები, შეფასებები და სხვ. აკრედიტაციისთვის წარდგენის პროცესში დაწესებულების მიერ გათვალისწინებული იქნა ყოველი შეფასება თითოეულ ასპექტში. დაწესებულების წარმომადგენელი შეეხო პროგრამის მიზნებთან დაკავშირებულ რეკომენდაციას, რომელიც შეფასდა, როგორც სტანდარტთან მეტწილ შესაბამისობაში. წარმომადგენლის განმარტებით, პროგრამა მხოლოდ დარგის სპეციფიკით არ არის შემუშავებული, გათვალისწინებულია უნივერსიტეტის ინდივიდუალური ხედვაც და შესაბამისობაშია მოყვანილი კვალიფიკაციის ჩარჩოს მერვე დონესთან. წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამის მიზნებს შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგები, ხოლო თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები ბმაშია პროგრამის სწავლის შედეგ(ებ)თან.
რეკომენდაცია ითვალისწინებდა შენიშვნას მხოლოდ პროგრამის მიზნებთან დაკავშირებით, და არა შედეგებთან მიმართებით, რაც წარმომადგენლის განმარტებით ალოგიკურია. ამ მსჯელობიდან გამომდინარე, პროგრამა ახდენს გაწერილი მიზნებისა და შედეგების

რეალიზაციას და უზრუნველყოფს სტუდენტებს შესაბამისი ცოდნით. მომდევნო რეკომენდაცია შეეხო პროგრამის მიზნებში განათლების მეცნიერებების სფეროსა და კოჰორტებს შორის მკაფიო კავშირებს. პროგრამის მიზნებში გაწერილია, რომ განათლების მეცნიერების პროგრამა დაფუძნებულია სოციოლოგიურ საჭიროებებზე და ინტერდისციპლინური კვლევისთვის პლატფორმის შექმნითაა დაინტერესებული. აღნიშნული მოიაზრებს კოჰორტულ მიდგომას. გარდა აღნიშნულისა, პროგრამა მოიცავს კოჰორტების კონკრეტულ მიმართულებებსაც. აქედან გამომდინარე, დაწესებულების წარმომადგენლის განმარტების მიხედვით, პროგრამა რეკომენდაციის პირობებს აკმაყოფილებს.
მომდევნო რეკომენდაცია, რომელსაც დაწესებულების წარმომადგენელი შეეხო, უკავშირდებოდა აპლიკანტთა განათლების საკითხს. წარმომადგენლის განმარტებით, აპლიკანტისთვის წაყენებულ მოთხოვნათა შორის არის სამწლიანი მუშაობის გამოცდილება დარგში, ინგლისური ენის ცოდნა C1 დონეზე, პროსპექტუსის ჩაბარება და ბოლოს გასაუბრება. ამ ეტაპების გავლის შემდეგ, წარმომადგენლის განმარტებით, კანდიდატი აუცილებლად აკმაყოფილებს როგორც აკრედიტაციის სტანდარტის, ისე უნივერსიტეტის მოთხოვნებს. შეუსრულებელი იყო ასევე 3.2 კომპონენტი, რომელიც მოითხოვს სამეცნიერო ხელმძღვანელობის პროცესთან დაკავშირებული ყოვლისმომცველი მარეგულირებელ დოკუმენტის არსებობას. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, არსებობს სამი დოკუმენტი, რომლებიც მოიცავენ იმ პრობლემატურ თემებს, რაც აღნიშნული უნდა იყოს მოთხოვნილ დოკუმენტში. აქედან გამომდინარე, დაწესებულება არ აწყდება პრობლემებს ამ დოკუმენტის არარსებობასთან დაკავშირებით და არსებული დოკუმენტებით იფარება ყველა საკითხი.
ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, შესასრულებელია 4.2 კომპონენტი, რომელიც ითვალისწინებს, თანახელმძღვანელის არსებობას პროგრამის ინტერდისციპლინურობის გათვალისწინებით და ხელმძღვანელებს განათლების მეცნიერებათა სფეროდან. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, პროგრამა კოჰორტების მიერ განათლების მეცნიერებების სფეროში ინტერდისციპლინური კვლევის განხორციელებას გულისხმობს, დოქტორანტებს კვლევაში ხელმძღვანელობას გაუწევს განათლების დოქტორის ხარისხის მქონე 17 პერსონალი, რომელთაგან 14 აფილირებულია.
გარდა ამ რესურსისა, თუ სტუდენტის საკვლევი თემა მოითხოვს დამატებით აკადემიურ რესურსს, რომელიც არ გააჩნია უნივერსიტეტს, მარეგულირებელი დოკუმენტები ითვალისწინებს სხვა უნივერსიტეტის პროფესორის მოწვევას როგორც ხელმძღვანელად, ისე თანახელმძღვანელად.

დაწესებულების წარმომადგენელმა, თინათინ გაბრიჩიძემ დამატებით ისაუბრა პროგრამის მიღების წინაპირობების შესახებ. მან აღნიშნა, რომ კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მიღების წინაპირობების დავიწროებას მაგისტრანტის კვალიფიკაციამდე, არსებული კრიტერიუმები კი, საკმარისია სადოქტორო პროგრამაზე მისაღებად. სავალდებულო ხელმძღვანელობასა და თანახელმძღვანელობასთან დაკავშირებით რეკომენდაციის შესახებ პროგრამას დეტალურად სავალდებულოობის შესახებ გაწერილი აქვს პროგრამის აღწერილობაში. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეკომენდაცია შეეხო პროგრამის სტრუქტურას. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარეობს სხვა რეკომენდაციებიც. რადგანაც დღევანდელი გავრცელებული სადოქტორო განათლების პროგრამა ითვალისწინებს შემცირებულ საგანმანათლებლო კომპონენტს, ხოლო გაზრდილ კვლევით კომპონენტს, ამავე გზას მიყვება ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტიც. რეკომენდაციები ერთმანეთთან კავშირშია, ამიტომ დაწესებულების წარმომადგენელმაც საერთო სურათზე ისაუბრა. რადგანაც ხაზი გაესვა მიღების კრიტერიუმებს და საბაზისო კურსების ნაკლებობას სადოქტორო პროგრამაზე, დაწესებულების წარმომადგენელმა სწორედ ამ თემებზე ისაუბრა. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულების მოსაზრებით არსებული მიღების წინაპირობები სრულიად საკმარისია და დოქტორანტი არ საჭიროებს საბაზისო კურსებს, პირველი სემესტრი მაინც მოიაზრებს ექსპერტის მიერ

შემოთავაზებულ საბაზისო კურსებს, მაგალითად დიდაქტიკაც, რომელიც იფარება არსებული საგნებით. ამასთან დაკავშირებით ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტს დეტალურად აქვს ჩამოყალიბებული საკუთარი პოზიცია არგუმენტირებულ პოზიციაში. დაწესებულების მოსაზრებით, არსებული მხარდაჭერის მეთოდები სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ დოქტორანტებმა სწორად შეარჩიონ, დაამუშაონ, გამოიკვლიონ თემა და შექმნან ნაშრომი. წარმომადგენელი შეეხო შეფასების კრიტერიუმებსაც. მისი მოსაზრებით, ექსპერტთა მიერ შემოთავაზებული შეფასების მექანიზმი არ ერგება პროგრამას, მის მიზნებსა და შედეგებს ისე, როგორც არსებული. ამის შესახებაც, ვრცლად აღწერილი აქვს დაწესებულებას არგუმენტირებულ პოზიციაში, რომელიც არ იქნა გათვალისწინებული ექსპერტთა მიერ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

გიორგი ღაღანიძემ შეკითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს, მან აღნიშნა, რომ დასკვნაში საბოლოო შეფასებები ქართულ და ინგლისურ ვარიანტებში არის განსხვავებები, ამიტომ აღნიშნული საჭიროებს დაზუსტებას. მეორე საკითხი, რომელიც საბჭოს წევრმა წამოჭრა, მიემართებოდა დაწესებულებას და შეეხო შრომის ბაზრის მიმოხილვას. მონაცემების ვალიდურობა ტექსტში არ დასტურდება, ამიტომ საბჭოს წევრმა მიიჩნია, რომ ეს საკითხიც უნდა დაზუსტდეს.

ექსპერტთა ჯგუფმა საბჭოს განუცხადა, რომ აღნიშნული პრობლემა გადამოწმებას საჭიროებს, ამიტომ საბჭოს სხდომის მიმდინარეობისას ზუსტ პასუხს წარუდგენდნენ საბჭოს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა სტატისტიკის წყაროები, რომელიც არის მიმოხილვაში განხილული სახელმწიფოების სტატისტიკის სააგენტოების მიერ წარმოებული, შესაბამისად, ინფორმაცია სანდოა.

საბჭოს წევრის, ქეთევან ნანობაშვილის შეკითხვა მიემართებოდა დაწესებულებას. საკითხი შეეხო შეფასების მექანიზმებს, რომლის მიხედვითაც ყველა სწავლის შედეგის შეფასებისას გამოიყენება სადისერტაციო ნაშრომი. შეკითხვა მდგომარეობდა შემდეგში, არსებობს თუ არა გაწერილი შეფასების კრიტერიუმები და გამოიყენება თუ არა ცალკეული კრიტერიუმების შედეგები სხვადასხვა სწავლის შედეგის შეფასებისთვის. მეორე საკითხი სწავლის შედეგის შეფასების ციკლის ვადას შეეხო, საბჭოს წევრმა სთხოვა დაწესებულებას დაეზუსტებინა აღნიშნული, რომელიც ერთი შეხედვით მოიცავდა ოთხ წელს, თუმცა მეშვიდე შედეგისთვის გამოდიოდა ექვსი წელი.

დაწესებულების წარმომადგენელმა ციკლის შესახებ ისაუბრა, მან განმარტა, რომ ზოგიერთი არაპირდაპირი შეფასების მეთოდი გამოიყენება პროგრამის დასრულებიდან ორი წლის შემდეგ. მონაცემთა შეგროვება ხდება პერიოდულად, სრული შეფასება კი ხდება ბოლოს, დასრულებიდან ორ წელში. ყველა სწავლის შედეგთან მოცემულია მთლიანი შეფასების პროცენტულობა. კომპლექსურობიდან გამომდინარე, დაწესებულებამ მთლიანი შეფასება უფრო გონივრულად მიიჩნია. სხვა პროგრამების შემთხვევაში კონკრეტული შეფასების კომპონენტი ირჩევა, განსახილველ პროგრამასთან დაკავშირებით კი, დოქტორანტურისთვის უფრო გონივრულად იქნა მიჩნეული ნაშრომის შეფასება.

საბჭოს წევრი ვასილ კიკუტაძე დაინტერესდა მიღების კრიტერიუმებით. საბჭომ ექსპერტთა ჯგუფს სთხოვა განემარტა, დაინტერესდნენ თუ არა იმით, თუ რას მოიაზრებს გასაუბრება და რატომ არის მოთხოვნა მაგისტრატურის ხარისხის კრიტერიუმად დამატების შესახებ.

ექსპერტის განცხადებით, გადამოწმებულ იქნა ყველა დოკუმენტი. ექსპერტმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტორს, რომ მაგისტრის ხარიხის მქონე კანდიდატებს არ აქვთ გზა ხსნილი ამ პროგრამისკენ, უპირატესობა ენიჭებათ გამოცდილების მქონე კანდიდატებს. ექსპერტის განმარტებით, ბუნდოვანია ეს მექანიზმი, ვინაიდან გაუგებარია მხოლოდ გამოცდილების მქონე სტუდენტი რამდენად შეძლებს დაძლიოს დოქტორანტურის საფეხურის მოთხოვნები. ამ შემთხვევაში, სხვა კრიტერიუმებიც ვერ იძლევა გარანტიას, რომ ისინი შეძლებენ დოქტორანტურის საფეხურის მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა ვახტანგ ზაალიშვილმა აღნიშნა, რომ როგორც წინაპირობა, უმაღლეს სასწავლებელში სამწლიანი სწავლების გამოცდილება საკმაოდ მნიშვნელოვანი ემპირიული საფუძველია. არსებული განათლების სისტემის მიხედვით, სწავლება უკვე მოითხოვს აკადემიურ ხარისხს, რასაც ემატება სწავლების გამოცდილება. ამ ყოველივეს წინ უძღვის აკადემიური და კვლევითი საქმიანობა, რომელიც კანდიდატს უკვე ჩატარებული აქვს საკუთარ სფეროში. ეს საკითხი მჭიდროდ უკავშირდება თანახელმძღვანელობასთან დაკავშირებულ საკითხს. საკითხი შეეხო გადანაწილებასა და ურთიერთქმედებას განათლების მეცნიერების და კონკრეტული დარგის ხელმძღვანელებს შორის. წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნული სრულიად პროცესის საკითხია, მაგრამ ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელის როლები თანაბრად არის განაწილებული. სრული პროცესი დაცვის დღემდე მოითხოვს დიდ შრომას, ითვალისწინებს ორ კოლოქვიუმსა და კვლევით კომპონენტს. გარდა ამისა, ითვალისწინებს სასემინარო მუშაობების, და სხვა აქტივობებს, რასაც კონკრეტულ სწავლის შედეგზე გაჰყავს სტუდენტი. საბოლოოდ, დისერტაციის დაცვისას საჯარო აუდიტორია განათლების მეცნიერებებისა და დარგის წარმომადგენლებით არის დაკომპლექტებული და მოიცავს ორივე მხრიდან შეფასებას. შესაბამისად არგუმენტი, რომ განათლების მეცნიერების ხელმძღვანელის როლი დაკნინებულია, ვერ იქნება რელევანტური.

საბჭოს წევრმა თამარ ტუფინაშვილმა შეკითხვით მიმართა დაწესებულებას. არსებული მდგომარეობით, განსახილველ პროგრამაზე სადისერტაციო ნაშრომი ფასდება სადისერტაციო საბჭოს მიერ დანიშნული ორი შემფასებლის მიერ 60 ქულის ფარგლებში. სადოქტორო დისერტაციის დაცვა ფასდება 40 ქულის ფარგლებში. მოქმედი კანონმდებლობით სადისერტაციო ნაშრომი უნდა შეფასდეს ერთჯერადად. სწორედ ამის შესახებ სთხოვა საბჭოს წევრმა დაწესებულებს, დაეზუსტებინა აღნიშნული.

წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ 60 პროცენტი შემფასებლის და ხელმძღვანელის არის საბოლოოდ დაცვის დროს, რადგან ისინი ჩართული არიან ნაშრომის შექმნის პროცესში, აკვირდებიან კვლევას და გააჩნიათ საკუთარი მოსაზრებები საკითხთან დაკავშირებით. დანარჩენი 40 პროცენტი დაცვის პროცესს მოიცავს. ქულებით ფასდება დაცვის შემდეგ და ერთიანდება. აქედან გამომდინარე, კანონმდებლობით მოთხოვნილი დაცვის შემდგომი შეფასების წესი განსახილველ პროგრამაში დაცულია.

საბჭოს წევრმა გოჩა თუთბერიძემ შეკითხვით მიმართა დაწესებულებას შემდეგი შეკითხვით: არსებული მდგომარეობით, სტუდენტები არ არიან ინფორმირებულნი, თუ რომელ პლაგიატის სისტემას იყენებს უნივერსიტეტი, ნაშრომის გაფორმების რომელი სტილი გამოიყენება და არაა ცნობილი ნაშრომის შეფასების აპელირების წესი. გარდა ამისა, არის თუ არა ღონისძიებები უნივერსიტეტში, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა და აკადემიურ პერსონალთა ინფორმირებულობას პლაგიარიზმის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტების მიხედვით, არსებობს სპეციალური სისტემა პლაგიატისთვის, რომელიც დასკვნაში აღინიშნა, ტარდება საინფორმაციო შეხვედრები პერიოდულად, რაც მათ შორის გასაჩივრების საკითხსაც მოიცავს. ფაქტია, რომ უნივერსიტეტში

გატარებულია პრევენციული ღონისძიებები. აღნიშნული ჩანს ვებგვერდზეც, შედგენილია ოქმებიც. აშკარაა, რომ გასაუბრებაზე მყოფი სტუდენტი შესაძლოა არ დასწრებია მსგავს ღონისძიებას, რომელზე ინფორმირებაც ელ-ფოსტის საშუალებით ხდება. ელ-ფოსტა გამოიყენება სტანდარტების შესახებ ინფორმირებისთვისაც და ასევე, სწავლის პროცესშიც ხდება სტუდენტთა ინფორმირება პლაგიატის კონტროლის არსებული წესის შესახებ. ჟურნალში გამოქვეყნებასთან დაკავშირებით ტარდება კონსულტაციები კვლევითი კომიტეტიდან.

საბჭოს წევრმა ხათუნა თოდაძემ, შეკითხვით მიმართა დაწესებულებას სტატიების შესახებ, მას აინტერესებდა, მოითხოვება თუ არა სტატიების იმპაქტფაქტორიან ჟურნალში გამოქვეყნება.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არ არის განსაზღვრული მინიმალური იმპაქტფაქტორი, თუმცა გაწერილია რა სახის ჟურნალებში და რამდენი სტატია უნდა გამოქვეყნდეს.

საბჭოს წევრი გიორგი ღაღანიძის შეკითხვა მიემართებოდა დაწესებულებას დისერტაციის შეფასების შესახებ. მას აინტერესებდა არსებობს თუ არა თეორიული შანსი, რომ ხელმძღვანელის უარყოფითი შეფასების შემთხვევაში სტუდენტს კვლავ შეუძლია დაიცვას დისერტაცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, არსებობს ამის თეორიული, მაგრამ არა რეალური შანსი. ამას უზრუნველყოფს მომზადების დროს ხელმძღვანელის შეფასებები. უარყოფითი შეფასების შემთხვევაში ინიშნება დამატებითი შემფასებელი. შესაბამისად, ფორმალურად, შესაძლებელია რომ უარყოფითი შეფასების მქონე სტუდენტი გავიდეს დისერტაციის დასაცავად, მაგრამ არსებულ მონიტორინგის სისტემას ამის შანსები ნულამდე დაჰყავს.

საბჭოს წევრი გოჩა თუთბერიძის შეკითხვა ეხებოდა ფართო მიღების კრიტერიუმებსა და ვიწრო სასწავლო კურსს. იგი დაინტერესდა, აპირებს თუ არა დაწესებულება აღნიშნულ საკითხში შესწორებების შეტანას.

დაწესებულების განმარტებით, პროგრამა უნივერსალური არაა და რა თქმა უნდა ექვემდებარება გადახედვას. აქედან გამომდინარე, რეკომენდაციებისა და რჩევების გათვალისწინებით მოხდება გადახედვა.

დიანა მჭედლიშვილის შეკითხვა შეეხო კვლევითი კომპონენტის შესრულების ვადას, თუ მინიმუმ რა ვადაა გათვალისწინებული კვლევისთვის.

დაწესებულების წარმომადგენლის მიხედვით, სისტემა მოქნილია სტუდენტებისთვის, მინიმალურად მაინც უნდა ჩაითვალოს 3 წელი, ხოლო სასწავლო კომპონენტისთვის - 2. კანონის შესაბამისი პირობები ამ შემთხვევაში დაცულია.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს შეკითხვა დაუსვა 2021 წლის აკრედიტაციის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ 2021 წელს ამ პროგრამამ ვერ მიიღო აკრედიტაცია. მას შემდეგ პროგრამის ცვლილება მოხდა და წარდგენილი პროგრამა სრულიად შეცვლილია.

ციური დურულმა დაწესებულებას შეკითხვით მიმართა და დაინტერესდა გათვალისწინებული იქნა თუ არა დაწესებულების მხრიდან გარე შეფასება.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შეფასება გათვალისწინებულ იქნა. აღნიშნული ასახულია პროგრამასა და სილაბუსებში.

თამარ ტუფინაშვილის შეკითხვა შეეხო სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელებს, რომელთაგან სამივე უცხოელია. საბჭოს წევრი დაინტერესდა, თუ როგორ მოხდება სათანადო დონეზე პროგრამის ადმინისტრირება.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტების მიხედვით, ფინელი და იტალიელი პროფესორები არიან ჩართულები პროგრამის განვითარებაში, რომლებიც დარგის სპეციალისტები არიან. მესამე პროფესორს წარმოადგენს უნივერსიტეტის დამფუძნებელი, დავით კერესელიძე, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის განათლების სისტემის პროგრესში და მისი კვალიფიკაცია არ დგება ეჭვის ქვეშ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:32
დასრულების დრო: 16:47

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „განათლების მეცნიერების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით (01/07/2025) ექვს თვეში ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ემუ ხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, (ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „განათლების მეცნიერებების“ სადოქტოროსაგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით,2025 წლის პირველ ივლისამდე, 6 თვის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:
რეკომენდაციები:

1. დარწმუნდით, რომ პროგრამის მიზნები კონკრეტულად ასახავს განათლების მეცნიერების პროგრამის სპეციფიკას.

2. დარწმუნდით, რომ პროგრამის მიზნები კონკრეტულად აყალიბებს ურთიერთკავშირს განათლების მეცნიერებასა და სტუდენტის/სტუდენტების ნაკადის წინა სასწავლო სფეროს შორის.
3. დარწმუნდით, რომ პროგრამის ყველა სწავლის შედეგი გაღრმავებულია სამივე დონეზე.
4. შეფასების მექანიზმი უნდა დაკონკრეტდეს განათლების მეცნიერების პროგრამის კონტექსტში, განსაკუთრებით პროგრამის ეტაპებისა და მიღწევების გაუმჯობესების კუთხით.
5. ჩამოაყალიბეთ პროგრამაზე უფრო მეტად მორგებული, კონკრეტულად ამ პროგრამის შესაბამისი (პირდაპირი შეფასების კუთხით და სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის თვალსაზრისით) მექანიზმები მოდულის/პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისთვის.
6. შეასწორეთ ტექნიკური შეცდომები შეფასების გეგმაში.
7. განათლების მეცნიერებათა საფუძვლები უნდა იყოს პროგრამის სასწავლო გეგმის ბირთვი, რომლის საფუძველზეც, კურიკულუმში, განათლების კვლევისა და სწავლების მეთოდოლოგია შეიძლება განვითარდეს რეალისტურად და ადეკვატური ხარისხით, რაც უაღრესად მიზანშეწონილი კომპონენტი იქნება მათთვის, ვინც პროგრამაში ჩაირიცხა განათლების მაგისტრის ხარისხის გარეშე.
8. იმ სტუდენტების სწავლის შემთხვევაში, რომლებსაც არ აქვთ მაგისტრის ხარისხი განათლებაში, გადააწყვეთ სასწავლო გეგმა ისე, რომ სტუდენტებს ჯერ ჰქონდეთ საშუალება ისწავლონ ძირითადი განათლების მეცნიერების სასწავლო კურსები, როგორიცაა ზოგადი განათლება, განათლების თეორია, ზოგადი დიდაქტიკა, შედარებითი განათლება, განათლების ისტორია, შემდეგ კი ამის საფუძველზე მიაწოდოთ სტუდენტებს კვლევასთან და სწავლების მეთოდოლოგიასთან დაკავშირებული კურსები.
9. დარწმუნდით, რომ აპლიკანტებს, რომლებსაც გავლილი აქვთ განათლების სფეროსგან განსხვავებული სამაგისტრო პროგრამა, მოეთხოვებოდეთ სხვა სახის რელევანტური გამოცდილება, როგორიცაა საგანმანათლებლო კვლევაში ჩართულობა.
10. დარწმუნდით, რომ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტს აქვს სამეცნიერო ხელმძღვანელობის პროცესთან დაკავშირებული ყოვლისმომცველი მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც მოიცავს მის ყველა ძირითად ასპექტს, მათ შორის თანახელმძღვანელობას.
11. რეკომენდებულია, რომ სადოქტორო პროგრამაში არსებობდეს სავალდებულო თანახელმძღვანელობის უფრო ძლიერი კომპონენტი. შემოთავაზებული სადოქტორო პროგრამის ინტერდისციპლინურობის გათვალისწინებით, სტუდენტებისთვის უაღრესად მომგებიანი იქნება, ჰყავდეთ ხელმძღვანელი განათლების მეცნიერებათა სფეროდან და თანახელმძღვანელი სადისერტაციო თემის შესაბამისი სფეროდან.

რჩევები:

1. დარწმუნდით, რომ დაინტერესებული მხარეები ადეკვატურად და რეალურად არიან ჩართულნი პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებაში.
2. დარწმუნდით, რომ სტუდენტები კარგად არიან ინფორმირებულნი პლაგიატის საკითხებზე და იციან როგორ გაუმკლავდნენ მას სწავლისა და კვლევის დროს.
3. დარწმუნდით, რომ ყველა სტუდენტი საკმარისად არის ინფორმირებული საუნივერსიტეტო აქტივობებში ჩართვის შესაძლებლობების შესახებ, მათ შორის, მობილობებში.
4. მიზანშეწონილია, რომ პროგრამის ხელმძღვანელს მეტი დრო ჰქონდეს პროგრამის სრულად გათავისებისთვის და დეტალების გასაცნობად.
5. სასურველია, დაინტერესებულ მხარეთა უფრო ფართო ჩართულობის ხელშეწყობა პროგრამის შემუშავებისა და ხარისხის უზრუნველყოფის ყველა ეტაპზე.

2. მეორე საკითხი: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფილოსოფიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

1. **საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება** - ფილოსოფია
2. საფეხური - ბაკალავრიატი
3. სწავლების ენა - ქართული
4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი ფილოსოფიაში
5. დეტალური სფეროს კოდი - 0223 - ფილოსოფია და ეთიკა

საგანმანათლებლო და წესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა ნინო ჭალაგანიძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს წარმოედგინათ პოზიცია.

აკრედიტაციის ექსპერტმა მაკა ლაშხიმ აღნიშნა, რომ დაწესებულებას განეხაზღვრა 5 რეკომენდაცია და 5 რჩევა. საერთო ჯამში, დაწესებულებამ კარგად იმუშავა არსებული პრობლემების აღმოსაფხვრელად. დაფიქსირდა რამდენიმე ტექნიკური ხარვეზი, რომელიც ხელს უშლიდა ექსპერტთა ჯგუფს მთლიანი სურათის დანახვაში და სწორედ ამას შეეხო პირველი რეკომენდაციაც. კურიკულუმის რუკაში აღინიშნა ხარვეზები, რომელიც ვიზიტის შემდეგ დაიხვეწა და გასწორდა. ასევე, საკონტაქტო საათები გაწერილი არ იყო სწორად, რაც ასევე გამოსწორებული იქნა დაწესებულების მხრიდან. მომდევნო რეკომენდაცია შეეხო შეფასების კრიტერიუმებს, რომელშიც შეფასებისთვის საჭირო იყო ქვიზები, რაც შეუსაბამოა დარგისთვის. აღნიშნული ხარვეზიც გამოსწორდა. ასევე არსებობდა ხარვეზი ლიტერატურის შესახებ, გაუმიჯნავი იყო ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა, რომელიც გამოიყო ერთმანეთისგან. ეს ხარვეზები შიდა ხარისხის მექანიზმების დახვეწას მოითხოვდა, რაც რეკომენდაციაშიც გაიწერა. დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტები, რომლის მიხედვითაც ტარდება ტრენინგები, რომელშიც ჩართულია აკადემიური პერსონალი. როგორც რეკომენდაციები, ისე რჩევები სრულიად იქნა გათვალისწინებული დაწესებულების მიერ და აღმოფხვრილ იქნა ყველა პრობლემატური საკითხი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ვლადიმერ ღლონტმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს. წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სრულიად იქნა გათვალისწინებული რეკომენდაციები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს მხრიდან შეკითხვები არ დასმულა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:56
დასრულების დრო: 17:05

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფილოსოფიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[6] - ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2[11] პუნქტის საფუძველზე, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფილოსოფიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

3. მესამე საკითხი: სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადა გიორგი ღაღანიძე.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს ინტერესთა კონფლიქტი დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებასა და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტისდასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინათ პოზიცია.

აკრედიტაციის ექსპერტმა თამარ ჩოკორაიამ აღნიშნა, რომ პროგრამის შესახებ დაწესებულებას ხუთი რეკომენდაცია წარედგინა. პირველი რეკომენდაცია შეეხო პროგრამის მიზნებისა და შედეგების კორექტირებას, რომელიც დაწესებულების მიერ შესწორდა. მომდევნო რეკომენდაცია ერთ-ერთ კურსს შეეხო, რომელიც მოდიფიცირდა, შეეცვალა საგანი, დაემატა სტანდარტით განსაზღვრული თემები და საერთო ჯამში, დაკმაყოფილდა რეკომენდაციის პირობები. მომდევნო რეკომენდაცია ძირითად და დამატებით სასწავლო მასალას შეეხო, რომელშიც ერთ-ერთი ლიტერატურა წარმოდგენილი იყო როგორც ძირითადი, რაც სტანდარტებთან შეუსაბამოა. დაწესებულებამ აღნიშნული გადაიტანა დამატებით ლიტერატურაში და ეს ხარვეზიც აღმოიფხვრა. მომდევნო რეკომენდაცია სტუდენტთა ინტეგრაციას აკადემიაში და ინფორმირებულობას შეეხო. აკადემიამ ამ მხრივ გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები, რაც გამოიხატა ფოტოებში, მემორანდუმებში, ოქმებში, ბიუჯეტში და სხვ, შესაბამისად, ეს რეკომენდაციაც შესრულებულია დაწესებულების მიერ. ბოლო რეკომენდაცია ბიუჯეტის კორექტირების თაობაზე დაწესებულების მიერ აღმოფხვრილი იქნა და გაიწერა დამატებითი ხარჯები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს. მან აღნიშნა, რომ ამ რეკომენდაციებს თავიდანვე იზიარებდა დაწესებულება. მოულოდნელი აღმოჩნდა მხოლოდ ინფორმირებულობასთან დაკავშირებული რეკომენდაცია, რომელიც ასევე გაითვალისწინა დაწესებულებამ.

აბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრების მხრიდან შეკითხვები არ დასმულა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:15
დასრულების დრო: 17:25

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} - ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2^{11} პუნქტის საფუძველზე, სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

4. მეოთხე საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „რელიგიის კვლევების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

1. **საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება** - რელიგიის კვლევები
2. საფეხური - მაგისტრატურა
3. სწავლების ენა - ქართული
4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - რელიგიის კვლევების მაგისტრი
5. დეტალური სფეროს კოდი - 0221 რელიგია და თეოლოგია

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადა დიმიტრი ჯაფარიძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებასა და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტისდასკვნას.

მეოთხე საკითხი სზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა პოზიცია.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ გამოიკვეთა ორი რეკომენდაცია. პირველი ეხებოდა თანამშრომლების მემორანდუმებს, მეორე საველე კვლევას. საველე კვლევებს უნდა მინიჭებოდა კრედიტები, დაწესებულებამ იპოვა სწორი გზა აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად და მიუერთა კვლევა საგანს. შესაბამისად, რეკომენდაციები სრულიად იქნა გათვალისწინებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა ნინო ჟვანიამ აღნიშნა, რომ რეკომენდაციები ზედმიწევნით გათვალისწინებული იქნა დაწესებულების მიერ და დეტალურად აღინიშნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრების მხრიდან შეკითხვები არ დასმულა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:35
დასრულების დრო: 17:40

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „რელიგიის კვლევების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2^{11} პუნქტის საფუძველზე, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „რელიგიის კვლევების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

5. **მეხუთე საკითხი:** შპს ქუთაისის უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

1. **საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება** - ეკონომიკა
2. საფეხური - ბაკალავრიატი
3. სწავლების ენა - ქართული
4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ეკონომიკის ბაკალავრი
5. დეტალური სფეროს კოდი - 0311 ეკონომიკა

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა გოჩა თუთბერიძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებასა და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტისდასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინათ პოზიცია.
ექსპერტმა ეკა გეგეშიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას ხუთი რეკომენდაცია წარედგინა. დაწესებულებამ ყველა რეკომენდაცია და რჩევა ზედმიწევნით გაითვალისწინა და გამოასწორა არსებული ხარვეზები. რეკომენდაციები შეეხო ლიტერატურას, მეწარმეობის საგნის სასწავლო კურსის მოდიფიცირებას, მოხდა ძირითადი და არჩევითი კურსების გადახედვა, საკონტაქტო

საათების და საბაკალავრო ნაშრომის შესახებ ხარვეზების აღმოფხვრა. წარმოდგენილ იქნა ბიუჯეტი პროგრამის მდგრადობასთან მიმართებით და ექსპერტის განმარტებით, ინსტიტუცია განაგრძობს პროგრამის დახვეწასა და განვითარებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა სოფიო ხუნდაძემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფთან თანამშრომლობა შედგა და რეკომენდაციები სრულიად იქნა გათვალისწინებული ინსტიტუციის მიერ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა გიორგი ღაღანიძემ კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეზუსტებინათ მეწარმეობის კურსის შესახებ დეტალები, კერძოდ, რა მდგომარეობაში იყო სილაბუსი რეკომენდაციის გაცემამდე და რატომ გახდა საჭირო რეკომენდაციის გაცემა. ასევე დაისვა მეორე შეკითხვა ბიუჯეტის შესახებ, საბჭოს წევრმა ექსპერტს სთხოვა დაეზუსტებინა, გაიზიარა თუ არა არსებულ საკითხში ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების პოზიცია.

ექსპერტმა ეკა გეგეშიძემ აღნიშნა, რომ მეწარმეობასთან დაკავშირებით, სავსებით შესაძლებელი იყო აღნიშნული შენიშვნა მოცემული ყოფილიყო რჩევის და არა რეკომენდაციის სახით. აღნიშნული კურსი თავიდანვე იყო არჩევითი და არჩევითად დარჩა. ბიუჯეტთან დაკავშირებით, ექსპერტმა განმარტა, რომ მისი მოსაზრებით, პატარა პროგრამის შემთხვევაში, მისაღებია საფაკულტეტო ბიუჯეტი და არ დგას პროგრამის ბიუჯეტის წარმოდგენის საჭიროება.
საბჭოს წევრი ციური დურულის შეკითხვა ასევე შეეხო მეწარმეობას. რადგანაც არსებული მდგომარეობით მეწარმეობა და ბიზნესის სამართალი, ორივე, არჩევით საგნებს წარმოადგენს და ფარავს დაახლოებით ერთ შინაარსობრივ მხარეს, ხომ არ ჯობდა, რომ ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციაში გაეთვალისწინებინა, რომ მეწარმეობა სავალდებულო საგანი გამხდარიყო.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციის გაცემის მიზეზი თავიდანვე იყო ის, რომ მეწარმეობის კურსი შინაარსობრივად ბიზნეს სამართლებრივი იყო და მეწარმეთა შესახებ კანონის მიხედვით ისწავლებოდა. რეკომენდაციის შინაარსი წარმოადგენდა შემდეგს, რომ კურსი წასულიყო ევროკავშირის სამეწარმეო კომპეტენციების ჩარჩოს მიმართულებით. სახელმძღვანელო ამ სფეროში არ არსებობს, მიუხედავად ამისა, დაწესებულებამ მოახერხა სილაბუსის ისე გაწერა, რომ კურსი სწავლის შედეგებზე გადის. მიმდინარე მდგომარეობით შემცირებულია სამართლებრივი საკითხები და მიზანს არ წარმოადგენს სამართლებრივი არსის შემეცნება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:50
დასრულების დრო: 18:00

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს ქუთაისის უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^{6} - ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2^{11} პუნქტის საფუძველზე, შპს ქუთაისის უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2024 წლის 29 მარტის 18:00 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ლომინაძე თამარ

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს წევრი
სხდომის მდივანი
ქუთათელაძე ქეთევან